

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის

ბრძანება

№3/217

04.10.2010

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის
2010

წლის 22 მარტის №3/47 ბრძანების დანართი №1 და №2-ში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2010 წლის 16
სექტემბრის №911 კორექსონდენციისა და „საქართველოს ზოგადი
ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის თანახმად,

ებრძანებ:

1. “დაბა აბასთუმანში არსებული კულტურული მემკვიდრეობის
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის
მინიჭების შესახებ” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და
სპორტის მინისტრის 2010 წლის 22 მარტის №3/47 ბრძანებით
დამტკიცებულ დანართში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) №1 დანართის 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
”საცხოვრებელი სახლი - დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ. №18”

ბ) №1 დანართის 27-ე, 28-ე, 29-ე, 31-ე და 32-ე პუნქტები ჩამოყალიბდეს
შემდეგი რედაქციით:

”სანატორიუმ “ვარძია“-ს კომპლექსი - დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ.
№21”

გ) №1 დანართის 39-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“დაბა აბასთუმანი, საცხოვრებელი სახლი - ლ. ასათიანის ქ. №57”

დ) №1 დანართის 40-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“დაბა აბასთუმანი, საცხოვრებელი სახლი - ლ. ასათიანის ქ. №51”

ე) №1 დანართის 103-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“ყოფილი რომანოვების სასახლის კომპლექსი - ქვის სასახლე - დაბა
აბასთუმანი, ზ. ფალიაშვილის ქ. №24ბ”

ვ) №2 დანართში მითითებული ობიექტი: ”საცხოვრებელი სახლი - დაბა
აბასთუმანი, ლადო ასათიანის ქ. №20”

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ”საცხოვრებელი სახლი - დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ. №18”

ზ) №2 დანართში მითითებული ობიექტები: ”სანატორიუმი “ვარძია“-ს კომპლექსი” - დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ. №23/25”

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ”სანატორიუმ “ვარძია“-ს კომპლექსი - დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ. №21”

თ) №2 დანართში მითითებული ობიექტი: ”საცხოვრებელი სახლი - დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ. №51”

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “დაბა აბასთუმანი, საცხოვრებელი სახლი - ლ. ასათიანის ქ. №57”

ი) №2 დანართში მითითებული ობიექტი: ”საცხოვრებელი სახლი - დაბა აბასთუმანი, ლ. ასათიანის ქ. №51ა”

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “დაბა აბასთუმანი, საცხოვრებელი სახლი - ლ. ასათიანის ქ. №51”

კ) №2 დანართში მითითებული ობიექტი: “ყოფილი რომანოვების სასახლის კომპლექსი - ქვის სასახლე - დაბა აბასთუმანი, ზ. ფალიაშვილის ქ. №26”

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: “ყოფილი რომანოვების სასახლის კომპლექსი - ქვის სასახლე – დაბა აბასთუმანი, ზ. ფალიაშვილის ქ. №24ბ”

ლ) №1 დანართის 18-ე, 36-ე და 110-ე პუნქტები და ასევე აღნიშნულ პუნქტებთან დაკავშირებით №2 დანართში მითითებული მისამართები ამოღებულ იქნას.

2. დაევალოს კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიის, ორგანიზაციების კოორდინაციისა და ნებართვების დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში, ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ობიექტის მონაცემების სამინისტროს ინტერნეტ-გვერდზე ასახვა.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მთავრობაში (მისამართი: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქუჩა №7).

მინისტრი

ნიკოლოზ რურუა